ნორვეგია - მუხლში 5.4 მოხსენიებულია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმიდან გამონაკლისების ჩამონათვალი

სექტორი და ქვესექტორი	მუხლთან 5.4 შეუსაბამო ღონისძიების აღწერა	ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ამ ზომის გამოყენება	განსაზღვრული ხანგრძლივობა	გამონაკლისების შემქმნელი გარემოებები
საგზაო ტრანსპორტი: მგზავრი და ტვირთი	ერთ ან მეტ ქვეყანასთან უკვე ან მომავალში დადებული ავტოსატრანსპორტო შეთანხმებების დებულებები ნორვეგიაში და ნორვეგიიდან, ან ნორვეგიასა და მესამე დაინტერესებულ ქვეყანას შორის ტვირთის გადაზიდვის უფლების შესანარჩუნებლად. ზოგიერთ ქვეყანას შეიძლება მიეცეს საგზაო კაბოტაჟის უფლებაც.	ყველა ქვეყანა	განუსაზღვრელი	ავტოსატრანსპორტო მომსახურების რეგიონული თავისებურება

სექტორი და ქვესექტორი	მუხლთან 5.4 შეუსაბამო ღონისძიების აღწერა	ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ამ ზომის გამოყენება	განსაზღვრული ხანგრძლივობა	გამონაკლისების შემქმნელი გარემოებები
აუდიოვიზუალური მომსახურება: აუდიოვიზუალური პროგრამების გადაცემა საზოგადოებისთვის.	ზომები, რომლებიც მიიღება ისეთი დირექტივების შემოსაღებად და ისეთ დირექტივათა შესაბამისად, როგორიცაა ევროდირექტივა ტელემაუწყებლობის სფეროში (No. 89/552), რომელიც განსაზღვრავს ევროპული წარმოშობის პროგრამებს იმისთვის, რომ გაავრცელოს ეროვნული რეჟიმი იმ აუდიოვიზუალურ პროგრამებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ წარმოშობის განსაზღვრულ კრიტერიუმებს.	ტრანსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ ევროპული კონვენციის საბჭოს წევრი მხარეები ან სხვა ევროპული ქვეყნები, რომელებთანაც შეთანხმების დადება შეიძლება	განუსაზღვრელი	ევროპის სამაუწყებლო სექტორში კულტურული იდენტობის პოპულარიზაცია და ლინგვისტური პოლიტიკის განსაზღვრული მიზნების ხელშეწყობა.
აუდიოვიზუალური მომსახურება: კინოსურათებისა და ვიდეო ფირების საწარმოო და სადისტრიბუციო მომსახურება	ეროვნული რეჟიმის გავრცელება მთავრობათშორისი თანაწარმოების ხელშეკრულების ფარგლებში ფილმების თანაწარმოებაზე. ზოგ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ასეთი ნამუშევართა დაფინანსება, მაშინ როცა კო-პროდუქციის დაფინანსება ზოგადად გათვალისწინებული არ არის.	ყველა ქვეყანა	განუსაზღვრელი	ასეთ ხელშეკრულებათა მიზანი დაინტერესებულ ქვეყნებს შორის კულტურული კავშირების ხელშეწყობაა

სექტორი და ქვესექტორი	მუხლთან 5.4 შეუსაბამო ღონისძიების აღწერა	ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ამ ზომის გამოყენება	განსაზღვრული ხანგრძლივობა	გამონაკლისების შემქმნელი გარემოებები
აუდიოვიზუალური მომსახურება: კინემატოგრაფიული ნამუშევრების და სატელევიზიო პროგრამების პროდუქცია-დისტრიბუცია სკანდინავიურ ქვეყნებში	ზომები, რომლებიც მიიღება ისეთი მხარდამჭერი პროგრამებით გათვალისწინებული პრივილეგიებით სარგებლობისთვის, როგორიცაა სკანდინავიური ფილმები და სატელევიზიო ფონდი (NORDIC FILM and TV FUND), რათა გაიზარდოს სკანდინავიურ ქვეყნებში წარმოებული აუდიო-ვიზუალური ნამუშევრების პროდუქცია-დისტრიბუცია.	ფინეთი, ნორვეგია, ისლანდია და დანია	განუსაზღვრელი	დაინტერესებული ქვეყნების რეგიონალური იდენტობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია
აუდიოვიზუალური მომსახურება: კინემატოგრაფიული ნამუშევრებისა და სატელევიზიო პროგრამების წარმოება-დისტრიბუცია	ზომები, რომლებიც მიიღება იმისთვის, რომ ისეთმა აუდიოვიზუალურმა პროგრამებმა და მათმა მომწოდებლებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ წარმოშობის განსაზღვრულ ევროპულ კრიტერიუმებს ისარგებლონ ისეთი მხარდამჭერი პროგრამებით გათვალისწინებული პრივილეგიებით, როგორებიცაა MEDIA და EURIMAGES.	ევროპული ქვეყნები	განუსაზღვრელი	დაინტერესებული ქვეყნების რეგიონალური იდენტობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია

სექტორი და ქვესექტორი	მუხლთან 5.4 შეუსაბამო ღონისძიების აღწერა	ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ამ ზომის გამოყენება	განსაზღვრული ხანგრძლივობა	გამონაკლისების შემქმნელი გარემოებები
ყველა სექტორი	სკანდინავიურ ქვეყნებში თანაწარმოების ხელშემწყობი ზომები, ისეთები, როგორებიცაა: - გარანტიები და სესხები საინვესტიციო პროექტებისა და ექპორტისთვის (სკანდინავიის ქვეყნების საინვესტიციო ბანკი); - R&D პროექტების ფინანსური მხარდაჭერა (სკანდინავიის სამრეწველო ფონდი);	დანია, შვედეთი, ფინეთი, ისლანდია და ნორვეგია	განუსაზღვრელი	სკანდინავიის ქვეყნებში თანაწარმოების შენარჩუნება-განვითარება

სექტორი და ქვესექტორი	მუხლთან 5.4 შეუსაბამო ღონისძიების აღწერა	ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ამ ზომის გამოყენება	განსაზღვრული ხანგრძლივობა	გამონაკლისების შემქმნელი გარემოებები
	საერთაშორისო პროექტების განხორციელების შესაძლებლობის შესწავლის დაფინანსება (სკანდინავიური ქვეყნების ფონდი პროექტის ექსპორტისთვის);			
	- გარემოს დაცვის ტექნოლოგიის მომხმარებელი კომპანიების* ფინანსური მხარდაჭერა (სკანდინავიური ქვეყნების გარემოს დაცვის კორპორაცია)	(*) გამოიყენება იმ აღმოსავლეთ ევროპული კომპანიების მიმართ, რომლებიც თანამშრომლობენ ერთ ან მეტ სკანდინავიურ კომპანიასთან.		

სექტორი და ქვესექტორი	მუხლთან 5.4 შეუსაბამო ღონისძიების აღწერა	ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ამ ზომის გამოყენება	განსაზღვრული ხანგრძლივობა	გამონაკლისების შემქმნელი გარემოებები
კომპიუტერული რეზერვაციის სისტემა და ავიასატრანსპორტო მომსახურების გაყიდვები და მარკეტინგი	კომპიუტერული რეზერვაციის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის გამყიდველი კომპანიებისა და მშობელი და მონაწილე ავიასატრანსპორტო კომპანიების ვალდებულებები არ ვრცელდება იმ ქვეყნების კომპიუტერული რეზერვაციის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის გამყიდველ კომპანიებსა და მშობელ კომპანიებზე, სადაც შესაბამისი რეჟიმი არ არის დანერგილი.	ყველა ქვეყანა, სადაც კომპიუტერული რეზერვაციის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის გამყიდველი კომპანია ან მშობელი ავიასატრანსპორტო კომპანია მდებარეობს	განუსაზღვრელი	გამონაკლისების საჭიროება წარმოიშვება მრავალმხრივი შეთანხმებებით კომპიუტერული რეზერვაციის სისტემის ფუნქციონირებისათვის დადგენილი წესების არასაკმარისი დამუშავების შედეგად.
საზღვაო	ნორვეგია ინარჩუნებს უფლებას რომ მიიღოს და შეინარჩუნოს ზომები, რომელთა საშუალებითაც იმ ქვეყნების მიმართ, სადაც ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები მოქმედებს, გავრცელდეს დიფერენციალური მოპყობის რეჟიმი.	ყველა ქვეყანა	განუსაზღვრელი	